ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2026 წლის 24 თებერვლის სხდომის

ოქმი # 1

სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან 19 წევრი

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმებში;
   მომხს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თ. დოლბაია
2. სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტოლოგიის" დოქტორანტ თინათინ ცერცვაძის სადოქტორო ნაშრომი რეცენზენტების ცვლილება;
   მომხს. ფაკულტეტის დეკანი ს. დუნდუა
3. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე კანდელაკის დისერტაციის დაცვის თარიღის დანიშვნა.
   მომხს. ფაკულტეტის დეკანი ს. დუნდუა

მოისმინეს: 1. თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ხარისხის სამსახურში შემოსული იყო საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების კურიკულუმში გაზაფხულის სემესტრისთვის სხვადასხვა ცვლილების განხორციელების საკითხი (დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ხ. მაისაშვილმა, პროფესორმა გ. გოგსაძე.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცვლილებები საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამების კურიკულუმებში. გადაეცეს დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს (დანართი 1)

მოისმინეს: 2. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა "კონფლიქტოლოგიის" დოქტორანტ თინათინ ცერცვაძის (თემა: „მეს" ხატის ცვლილება დებატების სწავლების გზით"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების ცვლილება (დამტკიცებული 2025 წლის 6 ნოემბრის #9 ოქმით). კერძოდ, რეცენზენტმა ნინო ჯავახიშვილმა (ფსიქოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი), რეცენზირებისთვის გამოყოფილი დროის დასრულებისას უარი თქვა რეცენზენტობაზე.

ხოლო უცხოელი რეცენზენტის რობინ სტარკის (ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, პერსონალური განვითარებისა და განათლების მიმართულება, ზაარლანდის უნივერსიტეტი) მიერ გამოგზავნილი რეცენზია უარყოფითია. შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად „ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი"; ასევე რადგანაც მეორე რეცენზენტმა უარი თქვა რეცენზენტობაზე, საჭირო ხდება ორი ახალი რეცენზენტის დამტკიცება.

1. სოფიკო ლობჟანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

პუბლიკაცია: Malazonia, D., Lobzhanidze, S., Maglakelidze, S., Chiabrishvili, N., et al. (2023). *The role of collaborative learning in the education for democratic citizenship (case of Georgia).* Cogent Education, 10(1), 2167299. https://doi.org/10.1080/2331186X.2023.2167299

2. ელი ვინოკური, განათლების დოქტორი, უფროსი ლექტორი, გორდონის განათლების აკადემიური კოლეჯი. ჰაიფა, ისრაელი

პუბლიკაცია: Vinokur, E., Yomtovian, A., Marom, M. S., Itzchakov, G., & Baron, L. (2024). *Social-based learning and leadership in school: Conflict management training for holistic, relational conflict resolution.* Frontiers in Social Psychology, 2, Article 1412968. https://doi.org/10.3389/frsps.2024.1412968

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ზ. აბაშიძემ, პროფესორმა ზ. დავითაშვილმა;

დაადგინეს: დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა "კონფლიქტოლოგიის" დოქტორანტ თინათინ ცერცვაძის (თემა: „მეს" ხატის ცვლილება დებატების სწავლების გზით"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებად დამტკიცდნენ:

სოფიკო ლობჟანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ელი ვინოკური, განათლების დოქტორი, უფროსი ლექტორი, გორდონის განათლების აკადემიური კოლეჯი. ჰაიფა, ისრაელი

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მიღებულია პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე კანდელაკის სადისერტაციო ნაშრომის „მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებრივი

ინტერაქციის როლი საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი: კორნელი კაკაჩია - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი) რეცენზიები. სამივე რეცენზია არის დადებითი. შესაბამისად, საჭიროა დაინიშნოს დისერტაციის დაცვის თარიღი. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს შესთავაზა 20 მარტი.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა თ. ქარაიამ, ა. აბაშიძემ

დაადგინეს: დოქტორანტ სალომე კანდელაკის სადისერტაციო ნაშრომის „მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში“ დაცვის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

24. 02. 2026

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ლაშა მათიაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

თინათინ მაჭარაშვილი

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

ესაძე ნიკოლოზ

მიხაელი ნატალი

ბურდული სოფიო

გოგიაშვილი მიხეილ

ჯაფარიძე ნინო

ტაბატაძე ალექსანდრე

ორჯონიკიძე ნინი

ტაბიძე ლუკა

გაბაშვილი ალექსანდრე

დანართი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების საფაკულტეტო კურსები (დადგენილება 57/2011, დანართები: 34, 36,37, 38,40,41)

ცვლილება: სასწავლო კურსებზე ლექტორთა ჩანაცვლება

ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსიდან, „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“, ამოღებულ იქნან ლექტორები მირანდა აბრამიშვილი და მირანდა გიორგაშვილი და დაემატოს ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშვილი;

ცვლილების აღწერა: „ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის“ სასწავლო კურსის სილაბუსში დაემატოს ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე.

ცვლილება: სასწავლო კურსის გაუქმება

ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო საგნების ჩამონათვალიდან, ამოღებულ იქნეს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამისთვის“.

საფუძველი: სასწავლო კურსების განვითარება.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: “საერთაშორისო ურთიერთობები“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 41)

ცვლილება: სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის დამატება

ცვლილების აღწერა:

სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსს „საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიკა“ დაემატოს მოწვეული ლექტორი ანა გოგოლაძე;

სავალდებულო სტატუსის მქონე კურსებს „დარგობრივი ინგლისური ენა 1“, „დარგობრივი ინგლისური ენა 2“, „დარგობრივი ინგლისური ენა 3“ და „დარგობრივი ინგლისური ენა 4“ დაემატოს მოწვეული ლექტორი ნათია ღვინჯილია, ხოლო კურსებს „დარგობრივი ინგლისური ენა 1“, „დარგობრივი ინგლისური ენა 2“, დაემატოს მოწვეული ლექტორი თამარ ურუშაძე;

არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსს - „რუსეთის საგარეო პოლიტიკა“ დაემატოს ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი;

ცვლილება: სასწავლო კურსის შინაარსის, შეფასების ფორმისა და ქულების ცვლილება

ცვლილების აღწერა: სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიკა“ სილაბუსში, განახლდა რამდენიმე თემატური საკითხი და მოდიფიცირდა შეფასების და ქულები:

- სემინარებში მონაწილეობა/აქტიურობა -16 ქულა;

- პრეზენტაცია - 24 ქულა;
- შუალედური გამოცდა – 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – 30 ქულა.

ცვლილება: სასწავლო კურსის შინაარსის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსის, „პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკა“ , სილაბუსში განახლდა სასწავლო თემატიკა და ლიტერატურა.

საფუძველი: სასწავლო კურსების განვითარება.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (ქართული რუსული კომპონენტებით), (დადგენილება #57/2011, დანართი # 35)

ცვლილება: სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის ცვლილება

ცვლილების აღწერა:

სასწავლო კურსში - „ლოგიკა“, გიორგი (გია) სიამაშვილის ნაცვლად, ლექტორად მიეთითოს მამია სურმავა;

სასწავლო კურსში - „სოციოლოგიის შესავალი“, გიორგი (გია) სიამაშვილის ნაცვლად, ლექტორად მიეთითოს მათე მასხულია;

სასწავლო კურსში - „საჯარო გამოსვლა“, გიორგი (გია) სიამაშვილის ნაცვლად, მიეთითოს ხათუნა მაისაშვილი და მარიანა ასანიძე;
სასწავლო კურსში - „იმიჯოლოგია – საჯარო სახის შექმნა“, გიორგი (გია) სიამაშვილის ნაცვლად, მიეთითოს მარიანა ასანიძე;
სასწავლო კურსში - “ანალიზი და თვალსაზრისი ჟურნალისტურ შემოქმედებაში“, ლექტორების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნან მიხეილ ვიგნანსკი და ნინო წითლანაძე, მიეთითოს ხათუნა მაისაშვილი და ვენერა რურუა;
სასწავლო კურსში - „ფოტოჟურნალისტიკა – პრაქტიკული“, ლექტორების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნას ლელა ფანჩვიძე;
სასწავლო კურსში - „მემუარები - ხსოვნისა და მეხსიერების კულტურა”, ნაცვლად თამთა თურმანიძისა, მიეთითოს ვენერა რურუა.

ცვლილება: სასწავლო კურსებისთვის სემესტრის შეცვლა
ცვლილების აღწერა:

სასწავლო კურსი - „დოკუმენტური კინო როგორც მასკომუნიკაციის საშუალება“, ნაცვლად შემოდგომის სემესტრისა, წაკითხულ იქნას გაზაფხულის სემესტრში;
სასწავლო კურსი - „საქართველოს გეოგრაფია“, ნაცვლად შემოდგომის სემესტრისა, წაკითხულ იქნას გაზაფხულის სემესტრში.
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: "პოლიტიკის მეცნიერება" (დადგენილება # 57/2011, დანართი #36)

ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება
ცვლილების აღწერა: სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსში „პოლიტიკური იდეოლოგიები" (ლექტორი ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა), მოდიფიცირდა სასწავლო კურსის შინაარსი და შეფასების კრიტერიუმები:

- სასემინარო აქტივობა - 15 ქულა;
- ჯგუფური აქტივობა - 10 ქულა;
- შუალედური გამოცდა - 30 ქულა;
- ფინალური გამოცდა - 40 ქულა.

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია (დადგენილება #57/2011, დანართი #40)

ცვლილება: სასწავლო კურსის სახელწოდებისა და სემესტრის შეცვლა, სილაბუსის მოდიფიცირება და ლექტორის დამატება.
ცვლილების აღწერა:
არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსს - „პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია" (ლექტორი, პროფესორი თამარ დოლბაია) შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური გეოგრაფია და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია";
მოდიფიცირდა სასწავლო კურსის შინაარსი;
სასწავლო კურსს დაემატა მოწვეული ლექტორი - ბაჩო ხუროშვილი;
სასწავლო კურსი შემოდგომის სემესტრიდან, გადატანილ იქნეს გაზაფხულის სემესტრში.
საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები" (დადგენილება № 57/2011, დანართი #295)

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის შეცვლა
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „პროექტის მენეჯმენტი" (ლექტორი ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშვილი) შემოდგომის სემესტრიდან, გადატანილ იქნეს გაზაფხულის სემესტრში.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა " (დადგენილება #57/2011, დანართი # 310)

ცვლილება: ახალი სასწავლო კურსის დამატება

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსი „პოლიტიკური კრიზისები და დამოუკიდებელი საქართველო“ (სილაბუსის ავტორი და ლექტორი ირაკლი მეგრელიშვილი).

საფუძველი: პროგრამაში, თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შემსწავლელი სასწავლო კურსის არარსებობა.

ცვლილება: სასწავლო კურსის შინაარსის ცვლილება
ცვლილების აღწერა: არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსში „პოპულიზმი გლობალურ პერსპექტივაში“ (მოწვეული ლექტორი: გიორგი გოგსაძე), შეიცვალა სასწავლო კურსის შინაარსი.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება“ (დადგენილება #57/2011, დანართი 326)

ცვლილება: ახალი სასწავლო კურსის დამატება

ცვლილების აღწერა: პროგრამას დაემატოს არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსი „ქალაქების ორგანიზაციული განვითარება“. (სილაბუსის ავტორი და ლექტორი ზურაბ ბაქრაძე)

საფუძველი: პროგრამაში არჩევითი საგნების სიმცირე.

ცვლილება: სასწავლო კურსისთვის სემესტრის შეცვლა

ცვლილების აღწერა: არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსი „ლიდერობა“ (მოწვეული ლექტორი: თამთა ბარაბაძე) შემოდგომის სემესტრიდან, გადატანილ იქნეს გაზაფხულის სემესტრში.
საფუძველი: პროგრამაში სემესტრულად გადანაწილებული საგნების დისპროპორცია.